საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი

მოგესალმებით
და გაგაცნობთ
საქართველოს
ზრდასრულთა განათლების
ქსელის (GAEN) მიერ
მიმდინარე პერიოდში გაწეული
მუშაობისა და საინტერესო
მოვლენების შესახებ

N1
2017

ნომერშია:

- ორგანიზაციული განვითარების პროგრმის ფარგლებში მიმდინარე ამბები 2
- ლიდერობის პროექტის დახურვა „ციტადინში“5
- მედიაკონკურსი ჟურნალისტებისთვის - 2017 8

ორგანიზაციული განვითარების პროგრამის ფარგლებში

სათემო/ზრდასრულთა განათლების ცენტრების ორგანიზაციული განვითარების პროგრამის ფარგლებში, რომელიც სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის DVV International ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება,17-18 მარტს საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის (GAEN) ოფისში ტრენინგები ჩატარდა. სათემო/ზრდასრულთა განათლების ცენტრების დირექტორებისთვის ტრენინგებს ფონდების მოძიებისა და პროექტის წერის თემაზე მოწვეული სპეციალისტი დალი ხომერიკი უძღვებოდა. ტრენინგის მონაწილეებმა საკუთარი საპროექტო წინადადებები, რომელზე მუშაობასაც ახლო მომავალში აპირებენ, ტრენერთან ერთად განიხილეს და რჩევები მიიღეს მისგან. ტრენინგებზე იმუშავეს ასევე საერთაშორისო პროექტების შეფასებისა და წერის კრიტერიუმებზე; წარმოადგინეს როგორც წარმატებული და უკვე დაფინანსებული, ასევე წარუმატებელი საპროექტო წინადადებები და მათ შესახებ უკუკავშირი მიიღეს ტრენერისგან. ქალბატონმა დალიმ ცენტრების დირექტორებს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მუშაობის სპეციფიკაც გაუზიარა.

„ძალიან საჭირო და პრაქტიკული ტრენინგი და უაღრესად კვალიფიციური ტრენერი“ - ასე შეაფასეს ტრენინგის მონაწილეებმა თავიანთი ორდღიანი მუშაობა საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის ოფისში.

19 მარტს კი საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის წევრები - ზრდასრულთა განათლების ცენტრების დირექტორები - ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრს ეწვივნენ და ქსელის სამუშაო სტრატეგია განიხილეს. მსჯელობის საგანი იყო ზრდასრულთა განათლების ქსელის 2017-2020 წლების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა. სამუშაო შეხვედრას საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის (GAEN) დირექტორი ხატია ცირამუა უძღვებოდა და ქსელის წევრი ცენტრების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით შედგა. მათ ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ საკუთარი ხედვები და საჭიროებები გაუზიარეს ერთმანეთს და ქოლგა ორგანიზაციის ქვეშ ადგილობრივი სათემო ცენტრების განვითარების გზებსა და პერსპექტივაზე ისაუბრეს. სამუშაო პროცესი ქსელის სტრატეგიის ძირითად მიმართულებებზე და ხედვებზე შეთანხმებით, საკამოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა, თუმცა დოკუმენტზე მუშაობა გრძელდება.

სათემო/ზრდასრულთა განათლების ცენტრების დირექტორთა შეფასებით, ეს იყო საქმიანი და საჭირო შეხვედრა, რომელიც ორგანი-

ზაციულ განვითარებაში რეალურად და პრაქტიკულად დაეხმარება მათ, რადგან სწორედ ცენტრების საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე მორგებული დოკუმენტის შექმნას ისახავს მიზნად.

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის (GAEN) დირექტორის ხატია ცირამუას განცხადებით კი, ქსელისთვის, როგორც ქოლგა ორგანიზაციისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ ქსელის წევრი ცენტრების დირექტორებისგან წამოსული მოსაზრებები, ხედვები და მოლოდინები, რათა ქსელის სტრატეგია იყოს არა ზემოდან ან ვინმესგან თავსმოხვეული, არამედ უშუალოდ ცენტრების საჭიროებებზე მორგებული, მათ განვითარებაზე ორიენტირებული და რეალურად ხელის შემწყობი ცენტრების ადგილებზე განვითარებისთვის.

ლიდერობის პროექტის დასურვა „ციტადელში“

„ლიდერობის პროექტი იძულებით გადაადგილებული და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე თემში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის“, რომელსაც საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი (GAEN) საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური მხარდაჭერით რვა თვის განმავლობაში (2016 წლის ივლისიდან 2017 წლის მარტის ჩათვლით) ახორციელებდა, წარმატებით დასრულდა.

პროექტი მიზნად ისახავდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე თემებში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის სამოქალაქო აქტივობის გაზრდას, თვითმმართველობის ინსტიტუტებთან თანამშრომლობის ხელშეწყობას და ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მშვიდობის კორპუსთან, კოდისა და ჯვარის სათემო განათლების ცენტრებთან პარტნიორობით განხორციელებული პროექტი სამიზნე რეგიონების ახალგაზრდულ ჯგუფებში კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას ემსახურებოდა.

პროექტის მონაწილე ახალგაზრდებმა პროექტის მართვისა და თემის განვითარების საკითხებზე არაფორმალური

განათლების ინტენსიური სასწავლო პროგრამა გაიარეს და საკუთარ თემებში ადგილობრივი თვითმმართველობის, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, ადგილობრივი დონორი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თემის მხარდაჭერით სათემო პროექტები განახორციელეს.

27 მარტს, თბილისში, სასტუმრო „ციტადინში“ პროექტის დახურვის საზეიმო ღონისძიება გაიმართა, რომელსაც საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, მშვიდობის კორპუსის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ზუგდიდის, წალენჯიხის, გორის, თეთრიწყაროსა და ერედვის მუნიციპალიტეტების გამგეობის, კოდისა და ჯვარის სათემო განათლების ცენტრების, „ორბელიანი საქართველოს“, „ახალგაზრდა ექსპერტთა ასოციაციის“, ჯეოლაბის“ წარმომადგენ ლები, ასევე - პროექტში ჩართული ტრენერები და ბენეფიციარები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე პროექტის მონაწილე ახალგაზრდებმა მათ მიერ განხორციელებული სათემო პროექტების შედეგები გააცნეს სტუმრებს, ისაუბრეს პროექტში მიღებულ გამოცდილებასა და შთაბეჭდილებებზე, სამომავლო გეგმებზე და პროექტის შესახებ მომზადებული ვიდეო რგოლი უჩვენეს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდული პოლიტიკის დეპარტამენტის მოწვევით საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობდა მწერალი დათო ტურაშვილი, რომელმაც ჩვეული გულახდილობითა და საინტერესო თხრობით ბევრი

რამ გაიხსენა საკუთარი ცხოვრებიდან, შემოქმედებიდან და ისაუბრა ადამიანის მოქალაქეობრივ ვალზე ქვეყნისა და მომავლის წინაშე. ცნობილ საყვარელ მწერალთან შეხვედრა და მისი ავტოგრაფით დამშვენებული წიგნები მართლაც დაუვიწყარი საჩუქარი აღმოჩნდა ახალგაზრდებისთვის.

დახურვის ცერემონია პროექტის მონაწილე ახალგაზრდებისა და ორგანიზაციების დაჯილდოებითა და სადღესასწაულო ტორტით დასრულდა.

მედიაკონკურსი ჟურნალისტებისთვის - 2017

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი უკვე მესამედ აცხადებს კონკურსს საუკეთესო სტატიის და ტელე-რადიო სიუჟეტის ჟურნალისტური ნამუშევრის გამოსავლენად ზრდასრულთა განათლების თემაზე. კონკურსის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ზრდასრულთა განათლების (ფორმალური და არაფორმალური) შესახებ. კონკურსში განსახილველად მიიღება 2017 წლის იანვრიდან 2017 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით ტელე-რადიო სიუჟეტი ან რეპორტაჟი, ბეჭდვით, ელექტრონულ მედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაცია (სტატია, ესსე) თემაზე: „საქართველოში ზრდასრულთა განათლების რეალობა და პრობლემები“. საუკეთესო ნაშრომს ზრდასრულთა განათლების ექსპერტებისა და ჟურნალისტების ჯგუფი გამოავლენს.

საკონკურსო მასალების მიღების ბოლო ვადაა 2017 წლის 13 ნოემბერი. კონკურსში გამარჯვებულისთვის საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელმა დააწესა ჯილდო - 1000 ლარი.

თანდართული შევსებული სააპლიკაციო ფორმა და საკონკურსო მასალები მოგვაწოდეთ ელ-ფოსტის შემდეგ მისამართზე: info@gaen.org.ge

საკონტაქტო პირი: ლიკა ქუთელია, პროექტის კოორდინატორი საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი

ტელ: (+995) 32 2 22 25 84

ელ-ფოსტა: info@gaen.org.ge

ვებ-გვერდი: http://www.gaen.org.ge

კონკურსი ტარდება სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის DVV International საქართველოს ოფისის ფინანსური მხარდაჭერით.

გისურვებთ წარმატებებს!

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი
მისამართი: თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის 9, II სართული
ტელეფონი: 2 22 25 84 ელ-ფოსტა: info@gaen.org.ge
ვებ-გვერდი: www. gaen.org.ge

რედაქტორი:
რიტა ბაინდურაშვილი

vhs DVV International

ელექტრონული ბიულეტენი მომზადებულია სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის DVV International ფინანსური მხარდაჭერით.